ქ. თბილისში, ჭიჭინაძის ჩიხი №1-ში სს „კალასი“-ს კუთვნილებაში არსებული ტერიტორიის (ს.კ. 208145862) საინჟინრო-გეოლოგიური პირობებისა და არსებული რკინიგზის ხაზის კონსტრუქციის საექსპერტო შეფასება

სს „კალასი“-ს დირექტორის გ.ბასილაძის თხოვნით, ჩვენს მიერ 2018 წლის 2-3 აპრილს გამოკვლეული იქნა ქ. თბილისში, ჭიჭინაძის ჩიხი №1-ში სს „კალასი“-ს კუთვნილებაში არსებული ტერიტორიის (ს.კ. 208145862) საინჟინრო-გეოლოგიური პირობებისა და მასზე არსებული რკინიგზის ლიანდაგების ტექნიკური მდგომარეობა.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად გაყვანილი იქნა ერთი 3მ სიგრძის შურფი, რათა დადგენილიყო მოედნის გეოლოგიური ჭრილი. შურფიდან აღებული იქნა სამი ნიმუში და განისაზღვრა გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები. შედეგები მოცემულია ქვემოთ.

როგორც შურფის გეოლოგიურმა ჭრილმა დაგვანახა, მოედნის სულ ზედა ფენა წარმოდგენილია 0,6მ სიმძლავრის ნაყარი გრუნტით. ნაყარის ქვეშ, მთელ სიღრმეზე, 3,0 მ-მდე წარმოდგენილი არის დელუვიურ-პროლუვიური წარმოშობის თიხნარები. მათი ბუნებრივი ტენიანობა მერყეობს 14-16%-ის ფარგლებში. თიხნარები ბუნებრივ, მშრალ მდგომარეობაში ხასიათდებიან მყარი კონსისტენციით და საკმაოდ მაღალი სიმტკიცის მახასიათებლებით. მათი პირობითი წინაღობა, როგორც შესაბამისმა გამოთვლებმა გვიჩვენა :

$$R_0 = 1.9 კგ/სმ^2$$

ამრიგად, ტერიტორია საკმაოდ მდგრადია და მასზე რაიმე უარყოფითი საინჟინრო-გეოლოგიური პროცესების განვითარება გამორიცხულია.

რაც შეეხება რკინიგზის ლიანდაგს, ავღნიშნავთ რომ, იგი მიერთებული იყო რკინიგზის ძირითად, დაახლოებით 8 კილომეტრიან ხაზთან, რომლის დაბოლოებაც სს „კალასი“-ს კუთვნილ ტერიტორიაზეა. დღეისათვის ჩიხისაკენ მომავალი

სარკინიგზო ხაზის 7 კმ აყრილია. დარჩენილია მხოლოდ კერძო ტერიტორიაზე რკინიგზის 780 მეტრიანი ნაწილი, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე უმოქმედობით, მთლიანად დაშლილი და ექსპლოატაციისათვის უვარგისია. დაზიანებულია ისე როგორც შპალები, ასევე ლიანდაგებიც. ვინაიდან სარკინიგზო გზის ეს, 780მ-იანი მონაკვეთი 90 -იანი წლებიდან ექსპლოატაციაში აღარ იმყოფება და ამჟამად კონსტრუქციულადაც გაუმართავია, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი დემონტაჟი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი,
საქართველოს დამსახურებული მშენებელი გ. ჭოხონელიძე
ტელ. 599-50-72-21